

**UNECE-ს წყლის კონვენციის განხორციელება და შეთანხმების მომზადება
ტრანსსასაზღვრო მდინარეების მართვის შესახებ აზერბაიჯანსა და საქართველოს
შორის**

დაწყების თარიღი : 01-01-2010

დასრულების თარიღი: 31-03-2012

პროექტის აღწერა:

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენცია ტრანსსასაზღვრო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ შეიქმნა რათა ხელი შეუწყოს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაცვას და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მართებული მართვის ქმედებების განხორციელებას. აღნიშნული კონვენციის განხორციელება მნიშვნელოვანია წყლის მართვის გაუმჯობესებისთვის სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოს და აზერბაიჯანის მიერ მოთხოვნილ იქნა დახმარება ორმხრივი შეთანხმების გასაფორმებლად, ხოლო საქართველოს მიერ წყლის კონვენციის რატიფიცირებისა და განხორციელების მოსამზადებლად. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემას აღნიშნულ პროცესში საზიარო წყლების ხარისხი წარმოადგენს.

ამ პროექტის მიზანია მხარი დაუჭიროს საქართველოს წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ კონვენციასთან რატიფიცირებაში და გააძლიეროს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა წყლის თემაზე საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის. პროექტი განხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან და აზერბაიჯანის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან თანამშრომლობით.

პროექტის შედეგები :

- მომზადდა ანგარიში საკანონმდებლო და ინსტიტუციური საჭიროებების შესახებ წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ კონვენციის საქართველოს მხრიდან რატიფიცირებისთვის;
- მომზადდა ანგარიში წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ კონვენციის განხორციელების ხარჯების შესახებ;
- მომზადდა პროექტი საქართველოსა და აზერბაიჯანის საზიარო ტრანსსასაზღვრო წყლების შესახებ ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

მიზნობრივი ტარიტორია : საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი

სფერო : წყლის რესურსები

დონორები :

გარემო და უსაფრთხოების ინიციატივა (ENVSEC)

www.envsec.org/

განმახორციელებლები

ორგანიზაცია: გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისია / ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

ვებ-გვერდი: www.osce.org

საკონტაქტო პირი: ხათუნა გოგალაძე, გარემოს და უსაფრთხოების ინიციატივის ეროვნული კოორდინატორის საქართველოში

ტელეფონი: +995 32 2 75 23 90; **ელ-ფოსტა:** Khatuna.gogaladze@osce.org

მაილსტონები

მაილსტონი: საკანონმდებლო და ინსტიტუციური საჭიროებების შეფასება საქართველოს მიერ წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ კონვენციის რატიფიცირებისთვის

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ კონვენციის განხორციელების ხარჯების შეფასება

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: ორმხრივი შეთანხმების პროექტის მომზადება

სტატუსი: დასრულებული

ბიუჯეტი

სრული ბიუჯეტი: 85830 EUR

სრული გრანტი საქართველოსთვის: 30000 EUR